INTERNATIONAL LABORATORY TESTING CENTER

საკვალიფიკაციო ტესტირების სქემა



1. **დამკვეთთან უკუკავშირის დამყარება** - საკონტაქტო პირების დადგენა და რეკვიზიტების გაცვლა.
2. **რეგისტრაცია** - დამკვეთის მიერ ვებ-გვერდზე - www.iltc.org.ge - რეგისტრაციის ლინკის შესაბამისად გახსნილი ინსტრუქციის მიხედვით დარეგისტრირება და ინდივიდუალური ID ნომრის მოპოვება.
3. **კონსულტირება ვადებთან დაკავშირებით** - ვებ-გვერდზე - www.iltc.org.ge - ტესტების ბლოკში არსებული ტესტირების ჩატარების ვადებიდან გამომდინარე სასურველი სქემის სშერჩევა.
4. **სასურველი ტესტირების შერჩევა** - ვებ-გვერდზე - www.iltc.org.ge - ტესტების ბლოკში არსებული ტესტირების პარამეტრებიდან სასურველის შერჩევა და მომხმარებლის კალათაში დამატება.

5. **ხელშეკრულების გაფორმება და მოსახურების ინვოისის გამოწერა** - მომსახურების მიმწოდებელი მომხმარების კალათის შესაბამისად აფორმებს ხელშეკრულებას, გამოწერს შემსყიდველი ორგანიზაციის სახელზე მომსახურების ინვოისს და გააგზავნის დამკვეთის მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე.
6. **მოსახურების საფასურის გადახდა** - მომსახურების გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბაისად, საბანკო რეკვიზიტზე თანხის გადარიცხვით.
7. **რეფერენტული მასალის გადაცემა** - მონაწილეებისათვის საკვალიფიკაციო ტესტირების ერთეულების მიწოდებას/ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო ტესტირების მიმწოდებლის კურიერი. მონაწილისთვის ტესტირების ერთეულის მიწოდებისათვის მიღება/ჩაბარების აქტის ორივე ეგზემპლარს დაკრული აქვს კოდი, რომელიც იდენტურია საკვალიფიკაციო მასალის ფლაკონის კოდთან. საკვალიფიკაციოო მასალის შემცველი პაკეტი მოთავსებულია თერმოყუთში გამაცივებელ აგენტთან ერთად და ეგზავნება დამკვეთს. დამკვეთი აწერს ხელს მიღება/ჩაბარების აქტს და ერთ ეგზემპლარს უბრუნებს კურიერს. ამ ეგზემპლარს თან ერთვება განაცხადი და თავსდება საარქივო ბაინდერში. კურიერის მიერ, საკვალიფიკაციო ტესტირების ნიმუშის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული პასუხისმგებელი პირისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული ნიმუშის დაკარგვა, დაზიანება, არასათანადოპირობებშიშენახვა.
8. **ანალიზი** - თითოეული მონაწილე გაზომვებს ჩაატარებს საკუთარი ტექნიკური საშუალებებით, საკუთარი ლაბორატორიის ბაზაზე, გაზომვის ჩვეული მეთოდისა და პროცედურის გამოყენებით. განუსაზღვრელობის გამოთვლა ხდება ლაბორატორიის შეხედულებისამებრ.
9. **შედეგების წარდგენა** - დაკვეთ ლაბორატორიას შედეგები შეაქვს საკვალიფიკაციო ტესტირების ცენტრის მიერ მიწოდებულ ფორმაში. შედეგების შაბლონი (ფორმა) მოწოდებული იქნება ნიმუშთან და ამ ინსტრუქციასთან ერთად, და ასევე გამოგზავნილი იქნება მონაწილეებისათვის ელ-ფოსტით. შაბლონი უნდა შეივსოს და გაგზავნილ იქნას საკვალიფიკაციო ტესტირების ცენტრის საკონტაქტო ელ. ფოსტაზე. საბოლოო ვადის (რომელიც მითითებულია ფორმაში) გასვლამდე. შესწორებული შედეგები არმიიღება.
10. **შედეგების ანალიზი** - მონაწილე ლაბორატორიების მიღებული შედეგების განსაზღვრა მოხდება შემდეგი მეთოდით: თითოეული ლაბორატორიის შედეგი შედარდება ატესტირებულ მნიშვნელობას, რის მიხედვითაც დადგინდება მონაწილე ლაბორატორიების კვალიფიკაციის შესაბამისობა.
11. **რეპორტების მომზადება** – მონაწილეებს საკვალიფიკაციო ტესტირების დამთავრებისას ეგზავნებათ „საკვალიფიკაციო ტესტირების ანგარიში“ მონაწილე ლაბორატორიის უნიკალური ნომრით და შედეგის აღნიშვნით. ლაბორატორიებს, რომლებმაც მიიღეს დადებითი შეფასება ასევე გადაეცემათ მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი.
12. **რეპორტების ანალიზი** - რეპორტის ანალიზი ხდება ლაბორატორიის ხარისხის მენეჯერის მიერ.
13. **კონსულტაცია** – წარუმატებელი შედეგების მიღების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, მომსახურების მიმწოდებელი აწვდის ინფორმაციას დამკვეთს განმეორებით ტესტირების შესაძლებლობასა და ვადებზე.